დანართი №3

საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის შემადგენლობა

1. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მხარდაჭერის მიზნით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კომიტეტი (შემდგომში: კომიტეტი), რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი (მათი არსებობის შემთხვევაში);

ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები;

გ) უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), რომელიც იმავდროულად არ იკავებს თსუ-ში აკადემიურ თანამდებობას;

დ) სტუდენტი/სტუდენტები;

ე) კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;

ვ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში როგორც პროფილური, ისე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (მხოლოდ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის შემთხვევაში დამსაქმებლების ნაცვლად კომიტეტის შემადგენლობაში შესაძლებელია შეყვანილ იქნას იმ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რომლებზეც აგრძელებენ სწავლას ზემოხსენებული პროგრამის კურსდამთავრებულები); ზ) პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);

თ) შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);

ი) უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);

კ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

ლ) თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

მ) სხვა წევრი/წევრები.

2. უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში კომიტეტის შემადგენლობაში უცხოელი სპეციალისტის ყოფნა სასურველია.

3. უცხოელი სპეციალისტი შესაძლებელია მოწვეულ იქნას ერთჯერადად.

4. კომიტეტის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნეს სტუდენტი, რომლის GPA აღემატება 3.0-ს.

5. კომიტეტი იქმნება ერთი მიმართულების/დარგის/ქვედარგის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. შესაძლებელია შეიქმნას ერთზე მეტი კომიტეტი ერთი მიმართულების/დარგის/ქვედარგის ფარგლებში უცხოენოვანი და/ან უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების არსებობის შემთხვევაში.

6. კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევიან ერთი წლის ვადით კომიტეტის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.

7. კომიტეტის წევრობა არ არის ანაზღაურებადი სამუშაო.

8. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინების საფუძველზე. კომიტეტის შემადგენლობას ან ცვლილებას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით.

9. კომიტეტის თითოეული სხდომის ოქმი ინახება პროგრამის პორტფოლიოში, ხოლო ასლი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.